

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „დგარი-2005“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და

რეგისტრირებულია: 09.08.2005წ.

საიდენტიფიკაციო ნომერი: 218043301

დღგ-ს გადამხდელი: 12.08.2005წ.

დამფუძნებლები: ზურაბ ბიჭიკაშვილი (პ/ნ 59001013898) - 50%

მურად წკრიალაშვილი (პ/ნ 59001016955)- 50%

დირექტორი: ზურაბ ბიჭიკაშვილი

იურიდიული და ფაქტიური მისამართი: საქართველო, ქ. გორი, შინდისის გზ.მე-3 კმ

შპს „დგარი-2005“ საქმიანობას წარმოადგენს ბეტონის პროდუქციის წარმოება
საამშენებლო მიზნებისთვის (NAEC 23610)

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო
სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის
შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს „დგარი-2005“ -ის მიერ წარდგენილ მეორე
წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2019 წლის 1 იანვრიდან 31
დეკემბრის ჩათვლით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:
საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“

საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს). სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. შესაბამისად ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების კორექტირების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

4. ფული და ფულის ექვივალენტი

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ლარი.

წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ლარში.

მონაცემები დამრგვალებულია ერთეულ ლარზე სიზუსტით.

5. მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის საქონლის რეალიზაციის / მომსახურების შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები.

შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად და აღიარდება საქონლის/მომსახურების გასაყიდი ფასის ოდენობით.

6. მარაგები

სასქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აღება ხდება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).

ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ბარათებით და აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად.

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების შესაბამისად. ძირითადი საშუალებები შემოსავალში აღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.

8. შემოსავლების აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, თუ მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს.

შემოსავლების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

9. ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

10. გაუნაწილებელი მოგება-ზარალი

კომპანიას კაპიტალში აქვს საქმიანობის შედეგად მიღებული გაუნაწილებელი მოგება, რომელიც ასახულია მის ბალანსში.

2019 წელს კომპანიას არ გაუცია დივიდენდები.

11. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2019 წლის საანგარიშო პერიოდის ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიაში არ ჰქონია ადგილი ისეთ მოვლენებს, რაც საჭიროებს ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის კორექტირებას ან შენიშვნებში მათ ასახვას.



დირექტორი:

ბუღალტერი:

[Handwritten signature]
[Handwritten signature]

ზურაბ ბიჭიკაშვილი/

/ნატალია მერებაშვილი/

შპს „დგარი 2005“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31.12.2018	31.12.2019
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	0	2935
სავაჭრო მოთხოვნები	238469	733215
გადახდილი ავანსები	0	0
მარაგები	0	10166
მზა პროდუქცია	0	0
სხვა	0	10166
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	2086	2086
ძირითადი საშუალებები	1515722	1213619
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5310	5310
სულ აქტივები	1761587	1967331
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	274368	416015
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	402447	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	129980
საგადასახადო ვალდებულებები	335648	131851
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	174419
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	277000
სხვა ვალდებულებები	0	23382
სულ ვალდებულებები	1012463	1152647
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	362796	362796
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	386328	451888
სულ საკუთარი კაპიტალი	749124	814684
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1761587	1967331

დირექტორი

ბუღალტერი

ზ. ბიჭიკაშვილი

ნ. მერებაშვილი



[Handwritten signature]



6. *[Handwritten signature]*

შპს „დგარი 2005“

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	31.12.2019
სრული შემოსავალი	751012
საქონლის რეალიზაციიდან	733215
მომსახურების გაწევიდან	17797
დანახარჯები გაწეულ მომსახურეობაზე	428750
 საერთო მოგება	 322262
 საოპერაციო ხარჯები	 269802
საოპერაციო მოგება	52460
სხვა აქტივები	13100
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	65560
მოგების გადასახადი	0
მოგება/(ზარალი)	65560



6.  

ზ. ბიჭიკაშვილი

ნ. მერებაშვილი

შპს „დგარი 2005“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 31.12.2018	362796	386328	749124
კაპიტალის ზრდა/შემცირება		65560	
გაცემული დივიდენდი		0	
სხვა ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში		0	
ნაშთი 31.12.2019	362796	451888	814684



6. 2019

ზ. ბიჭიკაშვილი

ნ. მერებაშვილი

ფულადი სახსრების მოძრაობა


ფულადი სახსრების მოძრაობა	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2935	(15)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	0	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	2935	(15)
სავალუტო კურსის ეფექტი	0	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	0	15
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	2935	0

დირექტორი:



ზ. ბიჭიკაშვილი

ბუღალტერი:



ნ. მერებაშვილი